პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 მარტი ხუთშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 59 (14969)

პარტიული ორგანიზაციების საღდღეისო საბრძოლო ამოცანა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა საქართველოს კომპარტიის თბილისისა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტების, გარდაბნისა და მახარაძის რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის პროპაგანდა და განხილვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ამ ქალაქებისა და რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გაშალეს მშრომელებში დირექტივების პროექტის პროპაგანდისა და განხილვისათვის. ამ მუშაობაში აქტიურად არიან ჩაბმულნი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკები. ლექტორები, პროპაგანდისტები, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები აშუქებენ ამ დოკუმენტის სიღრმესა და მეცნიერულ დასაბუთებას, უჩვენებენ განვლილ ხუთწლედში მუშაობის მთავარ შედეგებს, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პერსპექტივებს.

პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციათა ლექტორების ძალებით თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში, დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასა და სხვა ადგილებში ეწყობა ლექციების სპეციალური ციკლები, თეორიული და ეკონომიური კონფერენციები მერვე ხუთწლედის შედეგებისა და ახალ ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ. შინაარსისაგან მოეწყო დირექტივების პროექტისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენციები ქალაქ თბილისის კალინინის, ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებსა და მახარაძის რაიონში. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაგზავნილმა პროპაგანდისტულმა ჯგუფებმა.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქალაქ თბილისის პარტიის რაიკომების საშეფო მუშაობა კასპის, მცხეთისა და გარდაბნის რაიონებში დირექტივების პროექტის პროპაგანდასთან დაკავშირებით. რამდენადმე გაუმჯობესდა თვალსაჩინო აგიტაცია.

ორგანიზებულად და საქმიანად ეწყობა ღია პარტიული კრებები და მშრომელთა კრებები დირექტივების პროექტის განსახილველად. განხილვის დროს მშრომელებს შეაქვთ საყურადღებო წინადადებანი საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენების, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების შესახებ. პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები განაზოგადებენ მშრომელთა ამ წინადადებებსა და შენიშვნებს, მხარს უჭერენ 1971 წლის პირველი კვარტალის გეგმის ვადამდე შესრულების თაობაზე წამყვანი საწარმოების კოლექტივთა ინიციატივას, მათს მოწოდებას ყრილობის გახსნის დღეს იმუშაონ დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით, 17 აპრილს კი მასობრივად მიიღონ მონაწილეობა სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში.

დირექტივების პროექტის პროპაგანდასა და განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

პარტიის თბილისისა და ქუთაისის საქალაქო, მახარაძისა და გარდაბნის რაიონული კომიტეტები ფართოდ იყენებენ დირექტივების პროექტის პროპაგანდისათვის პრესასა და ადგილობრივ რადიომაუწყებლობას. გაზეთებსა და რადიოგადაცემებში სისტემატურად გამოდიან წარმოების ნოვატორები, სპეციალისტები, მეცნიერები.

ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ქალაქების თბილისისა და ქუთაისის, გარდაბნისა და მახარაძის რაიონების პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში დირექტივების პროექტის პროპაგანდისა და განხილვის საქმეში არის ნაკლოვანებანი და ცალკეული ხარვეზები.

მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ღია პარტიული კრებები და მშრომელთა კრებები მოეწყო ისე, რომ წინასწარ საგულდაგულოდ არ მომზადებულან. ზოგიერთი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი ფორმალურად ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას, სუსტად ერკვევა დირექტივების პროექტის შინაარსში, საუბრებს არ უკავშირებს მოცემული კოლექტივის კონკრეტულ ამოცანებს.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ახასიათებს მთელ რიგ სხვა საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებსაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა საქართველოს კომპარტიის თბილისისა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტებს, გარდაბნისა და მახარაძის რაიკომებს და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის პროპაგანდისა და განხილვისათვის მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის და აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი. საჭიროა ფართოდ და უნარიანად გამოიყენონ პარტიული პროპაგანდის, მასობრივი აგიტაციის ყველა საშუალება და ფორმა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ლექცია-მოხსენებების, საუბრებისა და პოლიტინფორმაციების ხარისხს, ყოველნაირი დახმარება გაუწიონ ლექტორებს, მომხსენებლებსა და პოლიტინფორმატორებს.

ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის პროპაგანდისა და განხილვისათვის მუშაობაში კვლავაც ფართოდ უნდა ჩავაბათ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები. ლექცია-მოხსენებებთან ერთად საჭიროა მოეწყოს საუბრები უშუალოდ სამუშაო ადგილზე, საერთო საცხოვრებლებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ მუშაობა დირექტივების პროექტის პროპაგანდისათვის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა შორის.

ახლა მთელი პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა წარიმართოს ისე, რომ ვუჩვენოთ მერვე ხუთწლედის მთავარი შედეგები და ახალი ხუთწლეულის შესანიშნავი პერსპექტივები. თვითეულ მშრომელს უნდა დავეხმაროთ განსაზღვროს თავისი როლი საერთო-სახალხო ამოცანების განხორციელებაში.

დირექტივების პროექტის პროპაგანდა და განხილვა ყველგან უნდა დავუქვემდებაროთ მშრომელთა დარაზმვას სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად, 1971 წლის სამეურნეო ამოცანათა გადასაწყვეტად, წარმოების რეზერვების გამოსაყენებლად და სახალხო მეურნეობაში მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებლად.

საქართველოს პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წინადადება მიეცათ კიდევ უფრო აქტიურად ჩაებან პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები დირექტივების პროექტის პროპაგანდასა და განხილვაში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და საზოგადოებრივი საკუთრების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდას, მოწინავეთა გამოცდილების ყოველნაირად მხარდაჭერასა და გავრცელებას.

რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციებმა კვლავაც ფართოდ უნდა გააშუქონ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის პროპაგანდისა და განხილვის მიმდინარეობა. პრესაში უნდა გამოქვეყნდეს და რადიოთი და ტელევიზიით გადაიცეს ყველაზე გამოცდილი და ნიჭიერი აგიტატორების, პოლიტინფორმატორების, მომხსენებლების საუბრები და ლექციები. ამ მასალებში უნდა ვუჩვენოთ ჩვენი მიღწევები, ავსახოთ არსებული ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დირექტივების პროექტის პროპაგანდისა და განხილვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ზედმიწევნით შეისწავლონ და განაზოგადონ ყველა მნიშვნელოვანი წინადადება, რომლებიც შემოტანილი იქნება განხილვის მსვლელობაში. (საქდესი).

„ლენოსოდ-1":

მთვარის მეხუთე დღე

ფორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 10 მარტი. (საკდესი). კავშირგაბმულობის მორიგი სეანსის დროს, როგორც გუშინ საღამოს მოეწყო, გრძელდებოდა წინა მთვარის დღის პერიოდში დაწყებული კვლევა დაახლოებით 500 მეტრი დიამეტრის დიდი კრატერისა. კრატერის პანორამული გადაღების შემდეგ მთვარემავალი მის ფერდობზე დაეშვა და მიუახლოვდა უფრო გვიანი წარმოშობის მეორე კრატერს. ეს კრატერი, რომლის დიამეტრი დაახლოებით 200 მეტრია, ჩანდა კავშირგაბმულობის წინა სეანსების დროს. მიღებულია მეორადი კრატერის სტერეოსკოპიული პანორამები. ამავე დროს წარმოებდა გრუნტის ქემიური ანალიზი. სეანსის დასასრულს თვითმავალი აპარატი კვლავ ავიდა დიდი კრატერის ფერდობზე და მის კიდეზე გაჩერდა.

სეანსი ხუთ საათს გრძელდებოდა. მუშაობა მთვარის ზედაპირზე გრძელდება.

„ლენოსოდ-1"-ის მეორე ეტაპი

ბაკო, 10 მარტი. (საკდესი). დღეს ბაქოში გაიხსნა აზერბაიჯანის კომპარტიის XXVIII ყრილობა.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სანგარაფში მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ა. ალიევმა.**

ურთიერთოგა ფართოვდება

10 მარტს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ნ. ნოვიკოვის შეხვედრა ირაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიურ დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრის მოადგილე აზიზ სიდკი.

საუბარმა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ავტომობილთა ქარხანა

ქუთაისი, 10 მარტი. (საკდესი). ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ავტომობილთა ქარხანა ეწყობა ახალ ტექნიკურ-ეკონომიურ საფუძველზე. ამ ეტაპზე ქარხანა ეწყობა ავტომობილ „ზილ-130"-ის ბაზაზე. ეს ავტომობილი ასრულებს ყველა ტიპის ავტომობილის ფუნქციას.

ასორტიმენტიც, ხარისხიც!

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრავალთასიანმა კოლექტივმა განვლილი ხუთწლედის ძირითადი საგეგმო დავალებანი ვადამდე გაანაღდა. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 102,8 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად 98.783 ათასი მანეთისა გამოუშვა 101.545 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის ნაწარმი.

მერვე ხუთწლედის უკანასკნელ, 1970 წელს 1965 წელთან შედარებით ტრიკოტაჟის ნაწარმის მოცულობა თითქმის 2 მილიონი ცალით გაიზარდა. ამასთან გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი, სისტემატურად ხდებოდა მოდელების გადახალისება. განვლილ ხუთწლედში ყოველწლიურად ვქმნიდით 15-20 ახალი მოდელის ნაწარმს.

ხუთწლედის მანძილზე პროდუქციის გამოშვების ზრდა ძირითადად შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე მიმდინარეობდა. 1970 წელს შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 9,1 პროცენტით.

ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვამ მტკიცე საფუძველი შექმნა ახალ ხუთწლედში უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის. მეცხრე ხუთწლედისა გეგმა კომბინატის კოლექტივის წინაშე დიდ პასუხსაგებ ამოცანებს სახავს. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა განვლილ ხუთწლედთან შედარებით 17 პროცენტით უნდა გაიზარდოს და 118.782 ათას მანეთს მიაღწიოს. ნარეთის გამოშვების ზრდა გათვალისწინებულია 11,7 პრ.%-ენტით, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 15,8 პროცენტით, ელასტიკური ნართისა — 28,8 პროცენტით. ფარმოების მოცულობის ცხრაწლიან დიდი მატება უნდა განაპირობოს შრომის ნაყოფიერების გადიდებამ 12 პროცენტით.

ტრიკოტაჟს მეოცე საუკუნის ტანსაცმელს უწოდებენ. სპეციალისტების პროგნოზით, უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში ჩვენი ტანსაცმლის ნახევარი ტრიკოტაჟის ნაწარმისგან შეიკერება. ეს გასაგებიც არის, რადგან ტრიკოტაჟის ნაწარმი საუკეთესო ფიზიკურ-ჰიგიენური თვისებებისაა. ამიტომ სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტით მსუბუქი მრეწველობის სხვა პროდუქციასთან ერთად ტრიკოტაჟის ნაწარმის ბამოშვება 1,5-ჯერ უნდა გაიზარდოს.

ამ სპეციალურ ამოცანის შესრულებაში გადამწყვეტი სიტყვა ჩვენი კომბინატის კოლექტივს ეკუთვნის. გარდა ამისა, რომ ჩვენ ტრიკოტაჟის ნაწარმს ვუშვებთ, რესპუბლიკის ტრიკოტაჟის მრეწველობას ბამბეულის ნართსაც ჩვენ ვაწვდით. მაგრამ ამ მხრივ კომბინატის სართავი წარმოების კოლექტივს არსებითი სარეზერვო აქვს. განვლილ ხუთწლედში ვერ შესრულდა ცალწვერა ნართის გამოშვების გეგმა, დაბალი იყო სართავი მანქანების ნაყოფიერება, მეკვირო გაუმჯობესებას საჭიროებს ნართის ხარისხი; საერთოდ ჩვენი სართავი წარმოება ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის მონათესავე წარმოებებს.

ახლახან რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დახმარებით დაისახა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებით მთლიანად გარდაიქმნება სართავი წარმოების მუშაობა.

ტრიკოტაჟის წარმოების ტექნოლოგიური რეჟიმის სწორად წარმართვის მიზნით ფართოდება სამლებრო საგამომყვანო წარმოება.

კომბინატის სამეურნეო ხელმძღვანელობა და პარტიული კომიტეტი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომითი რესურსების ეფექტურად გამოყენებისათვის. ამ მიზნით კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად გასულ წელს შეიმუშავა შრეკინოელ ქიმიკოსთა შრომის გამოცდილების წარმოებაში დანერგვისათვის დიდი მუშაობა ჩატარდა. დაიდგა ახალი ტექნიკა, გაუმჯობესდა ნაწარმის დამზადების ტექნოლოგია. ამაღლდა მუშაობა კვალიფიკაცია. გაფართოვდა მანქანების მომსახურების ზონა. ახლა ძირითადი პროფესიის მუშები გაცილებით მეტ სამუშაოს ასრულებენ. მაგალითად, მრთველები ნაცვლად 986 თითისტარისა ამჟამად 1.248 თითისტარს მესახურებიან, ხოლო მომხსნელთა ბრიგადები 15 მანქანის ნაცვლად — 24 მანქანას. ამ ღონისძიებებმა მარტო გასულ წელს საშუალება მოგვცა გამომავალისაშუალებანი 110 მუშა, რომლებიც სხვა სამუშაოზე გადავიყვანეთ.

ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის მომავალ ხუთწლედში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდება. კვლავაც გადახალისდება სართავი წარმოების ტექნიკური ბაზა, დაიდგმება ახალი მარკის სართავი მანქანები, გადახალისდება საბერკეტი საამქრო.

ბევრი სიახლე დაინერგება ტრიკოტაჟის წარმოებაში. 1974 წლისათვის გათვალისწინებულია მოეწყოს სამღებრო საამქროდან ქსოვილის მექანიზებული ტრანსპორტირება საგამომშრეტელო საამქროში; ვფიქრობთ, წარმოებაში დანერგეგოთ საქსოვ მანქანებზე ძაფის წყვეტიანობის თვითგამშრეტელი სპეციალური ხელსაწყო; საქსოვ საამქროში ამ ხელსაწყოს მასობრივი დანერგვა ერთიორად გაზრდის მქსოველთა მომსახურების ზონას და აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა მრეწველობაში შრომითი პირობების შემდგომ გაუმჯობესებას. კომბინატში ამ მხრივ გასაკეთებელი ბევრია. სართავი და ტრიკოტაჟის წარმოებების კორპუსები და დამხმარე განყოფილებები უკვე ვერ უპასუხებენ საწარმოო ესთეტიკის დღევანდელ მოთხოვნებს. ამიტომ ჩვენი დაკვეთით საკავშირო ტექნიკური ესთეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი ამზადებს საწარმოო ესთეტიკის დარგში კომბინატში ჩასატარებელ სამუშაოთა პროექტს.

მუშა-მოსამსახურეთა ნორმალური სამუშაო პირობების შექმნის საქმეში ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს საწარმოში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმე. კომბინატის ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები ცდილობენ მუშათა სასადილოები გადაკეთონ საუკეთესო საზოგადოებრივი კვების ობიექტებად. ამ მხრივ ნაკისრი ვალდებულებები ითვალისწინებს დამატებით ორი ახალი მუშათა სასადილოს გახსნას. საწარმოში მუშაობენ ქალთა საოჯახო შრომის პირობების შემსუბუქების მიზნით დაპროექტებულ კულინარიული და საკონდიტერო ნაწარმის მუდმივ გაყიდვას. კომბინატის ადმინისტრაცია სოცკულტურული ფონდიდან გადარიცხავს თანხებს, რათა გაიაფდეს კერძების ღირებულება დაახლოებით 15 პროცენტით.

ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტში ხაზგასმულია, რომ შემდგომ კიდევ უფრო გაძლიერდეს მომჭირნეობის რეჟიმი. ამ მხრივ კომბინატში ბევრი რამ გაკეთდა. მარტო 1970 წლის განმავლობაში დაზოგილ იქნა 2 ტონა ძვირადღირებული სტრიკოტაჟე ნედლეული; სართავ წარმოებაში დაიზოგა 79 ტონა ბამბა, 1.239 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 456 ტონა პირობითი საბოტნები. საგრძნობლად შემცირდა არასაწარმოო ხარჯები, 1970 წელს ეიღებულია 80 ათასი მანეთი მოგება. ახლა შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელი წინ უსწრებს ხელფასის ზრდის მაჩვენებელს. მაგრამ კომბინატში მომჭირნეობისა და შიდა რეზერვების გამოვლინების დარგში გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

დირექტივების პროექტში აღნიშნულია, რომ „ადმინისტრაციულ სამმართველო აპარატის შემდგომი სრულყოფისა და გაიაფებისათვის გადაჭრით შემცამცირეთ ამ აპარატის ზედმეტი რგოლები“. ამ მხრივ კომბინატის სამეურნეო ხელმძღვანელობა გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს, რითაც ყოველწლიურად მკვეთრად მცირდება სამმართველო აპარატის შესანახად გათვალისწინებული ხარჯები. მაგალითად, 1970 წელს მს ხარჯები 46 ათასი მანეთით შემცირდა, მიმდინარე წელს კი 40 ათასი მანეთით კიდევ შემცირდება. მალე მწყობრში ჩადგება კომბინატის ტრანტორიაზე ახლადშექმნილი საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მექანიზებული აღრიცხვის სადგური. იგი აღჭურვილია უახლესი ტექნიკის პერფორაციული და ელექტრონული გამოთვლითი მანქანებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საბუღალტრო და ეკონომიური ინფორმაციების მექანიკურ დამუშავებას.

კომბინატის კოლექტივის საბრძოლო ამოცანაა პირნათლად განაღდოს სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად გაწეული შეჯიბრებები ნაკისრი ვალდებულებანი. ის, რომ ჩვენი კომბინატი ამ შეჯიბრების ინიციატორია, უფრო მეტად ზრდის კოლექტივის თვითეული წევრის პასუხისგებლობას. ამის შედეგია, რომ მიმდინარე წლის ორი თვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. განაღდებულია ყველა ძირითად სახეობათა ნაწარმის გამოშვების გეგმები.

გ. გამცემლიძე,

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორი.

თავდადებული შრომით გაითქვეს სახელი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მოწინავე ამწყობმა — ზეინკლებმა სულიკო ძუკაევმა და ამირან ბეგლარაშვილმა. პირადი ხუთწლედი მათ ჯერ კიდევ სექტემბერში შეასრულეს. ამჟამად მოწინავე ზეინკლები 1971 წლის აპრილის ანგარიშში მუშაობენ.

სურათზე: მოწინავე ამწყობი-ზეინკლები ს. ძუკაევი (მარცხნივ) და ა. ბეგლარაშვილი.

ფოტო ვ. მირზოეოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

ჩვენი წინადადებები

რომ უკეთ ვზრდიდეთ

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია ჩვენს ქვეყანაში ახალი სკოლების მშენებლობა 6 მილიონი მოსწავლისათვის. ამ ხუთწლედში კი აღიცილებლად უნდა მოეწოს ბოლო ორცვლიან და სამცვლიან სწავლებას, რომელიც ძალიან ცუდად მოქმედებს როგორც მასწავლებლების ხარისხზე, ისე მასალის ათვისებაზე.

ჩვენმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა ეს დიდი პროგრამა რომ შეასრულონ, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება სპეციალური განხრის სკოლები (ჩვენი სკოლა ინგლისური სწავლებას სკოლაა) შედარებით უკეთ დაფინანსდეს, რაც განამტკიცებს სასწავლო-მატერიალურ ბაზას და შესაძლებლობას მოგვცემს აღჭურვოთ კაბინეტები ტექნიკური საშუალებებით.

თ. ჩიხლაძე,

თბილისის 47-ე საშუალო სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

მანქანები, კადრები

სასიხარულოა, რომ პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში ასახვა ჰპოვა საქართველოში მეჩაიეობის შემდგომმა განვითარებამ. ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის წარმოებულ უნდა იქნას 272 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ ამოცანის შესრულებაში სათანადო წვლილს შეიტანენ ჩხოროწყუს რაიონის მეჩაიეებიც.

ჩვენს მეჩაიეებს სურთ დირექტივების პროექტში გათვალისწინებულ იქნას ზოგიერთი წინადადება. მაგალითად, **საჭიროა გადიდდეს ჩაის საკრეფი მანქანებით ნაკრეფი ნედლეულის დამხარისხებელი და გადამმუშავებელი აგრეგატების გამოშვება და რაოდენობა.** ეს გაუმჯობესებს ჩაის მზა პროდუქციის ხარისხსაც.

მეორე: ახალ ხუთწლედში უზრუნველყოფილ იქნას ჩაის საკრეფი მანქანების ტექნიკური გაუმჯობესება და წარმადობის გადიდება, მეტი ყურადღება მიექცეს ამ მანქანებზე მომუშავე მექანიზატორთა კადრების მომზადებას.

გ. ცირამუა,

ჩხოროწყუს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

ამჟამად სამკურნალო ბალახების კულტურის ფართოდ გავრცელების ერთ-ერთ მოქმედ ფაქტორად ბიოლოგიოთესვის მკითხველია. ეს მიგვითითებს იმაზე, რომ მეტად დიდია ბიბლიოთეკების როლი კულტურის, მეცნიერებისა და განათლების შემდგომ ამაღლებაში.

საჭიროდ მიგვაჩნია ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში გამოკვეთილად ბიასახოს საბიბლიოთეკო მშენებლობის შემდგომი განვითარების ისეთი საკითხები, როგორიც არის საბიბლიოთეკო ქსელის ზრდა-განვითარება ახალი ჭალაჩოსნისა და დაბების მშენებლობასთან დაკავშირებით, კადრების მომზადება და ბიბლიოთეკების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.

ა. ირემაშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური საეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნ. ბიბლიოგრაფიის განყ. გამგე.

სიმინდი ნაწვერალზე

მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში დასახულია მთელი რიგი ღონისძიებები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტში **უურადღება გამახვილდეს წელიწადში ერთი და იგივე ფართობიდან ორი მოსავლის მიღებაზე.** თავთავიანი კულტურების აღება პარალელურად ფართოდ უნდა ჩატარდეს სიმინდის თესვა. ნაწვერალზე სიმინდის ნათესების შექმნიზებელი დაშვებები საშუალოდ ჰექტარზე შეიგვძლია სულ ცოტა 15 ტონა მაღალხარისხოვანი სასილოსე მწვანე მასის მიღება. ამ გზით რესპუბლიკაში გადავწყვეტთ მეცხოველეობისათვის 1 მილიონ ტონა წვნიანი საკვებით უზრუნველყოფის საკითხს.

რესპუბლიკაში ნაწვერალზე სიმინდის ნათესმა 36-40 ათას ჰექტარს მიაღწია. შესაძლებლობა კი გაციდლებით უფრო მეტია, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის კახეთისა და ქვემო ქართლის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობას სრული შესაძლებლობა აქვს (მით უმეტეს, რომ ბევრგან სარწყავი სისტემები გაკეთდა) **დიდ ფართობზე ჩაატარონ ნაწვერალზე სიმინდის თესვა მეორე მოსავლის მისაღებად.**

ჯ. ქემოკლიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების ეკონომიკის ქვეგანყოფილების უფროსი.

ახალი ენერგიით

□ **რუსთაველმა** მემარტენეებმა ვიკისრეთ ახალი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება და ერთი თვით ადრე — 1975 წლის 1 დეკემბრისათვის შეასრულოთ ხუთწლიანი გეგმა. თითქმის ყველა ლუმელი და ბრიგადა გადაჭარბებით ანაღდებს ყოველდღიურ დავალებებს. კვლავ მოწინავეთა რიგებში არიან მეფოლადეები გ. ბერეკაშვილი, ი. ტაბატაძე, მ. სპანდერაშვილი, ზ. ყაველაშვილი. ყველა მათი ნადნობი ჩქაროსნულია.

დ. ბარათაშვილი,

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პარტიბიუროს მდივანი.

□ **ვიათურის** მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშაკებმა გადავწყვიტეთ არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებით ახალ ხუთწლედში გეგმის გადამეტებით დავაკმაყოფილოთ 80.000 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

ალ. მოდებაძე,

ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის გამგე.

ლენინური გზა სოციალიზმისაკენ

რკპ (ბ) X ყრილობის 50 წლისთავი

მომუნისტური პარტიის ყოველი ყრილობა უდიდესი ისტორიული ნიშანსვეტია მისი განვითარების გზაზე, მასთან დაკავშირებულია პარტიის, მისი რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის, საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრების გარკვეული ეტაპი. ამ მხრივ უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა პარტიის X ყრილობა, რომელიც გაიმართა 50 წლის წინათ, 1921 წლის მარტში. ამ ყრილობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის მატიანეში, სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში.

X ყრილობა მიმინარეობდა ჩვენი სამშობლოს ისტორიის ფრიად პასუხსაგებ პერიოდში, როდესაც საბჭოთა ქვეყანამ ძლევამოსილად დაამთავრა სამოქალაქო ომი და დაიწყო ბიდასვლა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაზე. მაგრამ ეს გადასვლა ხორციელდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს რთულ საერთაშორისო და საშინაო ვითარებაში. ოთხი წლის იმპერიალისტურმა ომმა და სამი წლის სამოქალაქო ომმა ქვეყნის ეკონომიკა სრულ განადგურებამდე მიიყვანა. კაპიტალოფულად დაცემული იყო, როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ პარტიისათვის ცხადი იყო, რომ ომის ვითარებით შექმნილმა სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკამ ამოწურა თავისი თავი და ახალ ვითარებაში აღარ გამოდგებოდა, საჭირო იყო მისი შეცვლა ახალი ეკონომიური პოლიტიკით, რომელიც ახალი ვითარების შესაბამისი იქნებოდა და განამტკიცებდა მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან და უზრუნველყოფდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას.

ამრიგად, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე დადგა ამოცანა გამომუშავებინათ ახალი გეზი ქვეყნის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა საკითხზე. სწორედ ეს საკითხები გადაწყვიტა პარტიის X ყრილობამ.

კომუნისტური პარტიის X ყრილობამ, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ვ. ი. ლენინმა, განიხილა საკითხები: ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, პარტიის ერთიანობის შესახებ, პროფკავშირების, პარტიული მშენებლობის, ეროვნული, სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლისა და სხვა საკითხები.

ვ. ი. ლენინმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ გაკეთებულ ანგარიშში მოგვცა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ვითარების მკაფიო, ამომწურავი ანალიზი. მან პარტიის ყურადღება გაამახვილა უმნიშვნელოვანეს, გადაუდებელ ამოცანებზე და დასახა მათი განხორციელების გზები. მოხსენებაში ლენინი შეჩერდა პროფკავშირების შესახებ გამართულ დისკუსიაზე და განაცხადა, დისკუსია შეუწყნარებელი ფუფუნება იყო, შეცდომა დაეშვა, რომ იგი გავმართეთ, მან პარტიას დიდი დრო წაართვა და მისი ყურადღება მთავარ საკითხებს ჩამოაშორა.

როგორც ცნობილია, ტროცკისტებმა X ყრილობის წინ პარტიას თავს მოახვიეს დისკუსია პროფკავშირების შესახებ. ამ დისკუსიას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე პროფკავშირების საკითხს. ტროცკისტებისა და სხვა ანტიპარტიული ჯგუფების ბამოსვლას ლენინი განიხილავდა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ გალაშქრებას, როგორც გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის გაწყვეტის ცდას. ტროცკი მოითხოვდა პროფკავშირების „შენაღრეკას“ და მათს დაუყოვნებლივ გასახელმწიფოებრიობას“, მუშათა მასების დარწმუნების მეთოდის ნაცვლად პროფკავშირებში საბჭოდრო მეთოდის შემოღებას, „ქანჩების მოჭერას“. ტროცკისტები მოითხოვდნენ გაგრძელებულიყო სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა, ცდილობდნენ დაეყენებინათ პარტია მასების მიმართ შიშველი იძულებისა და მბრძანებლობის დამფუძველ გზაზე, აემხედრებინათ მუშათა უპირატო მასა პარტიის წინააღმდეგ, გაეთიშათ პროფკავშირები, შეესუსტებინათ პროლეტარიატის დიქტატურა და ამით საფრთხე შეექმნათ საბჭოთა ხელისუფლების არსებობისათვის.

ტროცკისტებს მხარი დაუჭირეს სხვა ანტიპარტიულმა ჯგუფებმა, როგორიც იყვნენ „მუშათა ოპოზიცია“, „დემოკრატიული ცენტრალიზმი“, „მემარცხენე კომუნისტები“ და სხვ.

ოპოზიციური ჯგუფების იდეური მნილება და ორგანიზაციული განადგურება აუცილებელი პირობა იყო საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის. ამიტომ უომობდა ამ საკითხს დიდ ყურადღებას ლენინი; იგი სათავეში ჩაუდგა პარტიის შეურიგებელ ბრძოლას კაპიტულანტებისა და მოღალატეთა მთელი ამ ხროვის წინააღმდეგ, მტკიცედ იცავდა პარტიულ ხაზს და ანადგურებდა პარტიის ყველა მტერს. ლენინმა დაიცვა პარტიის ერთიანობა და მისი რევოლუციური პოლიტიკა. ამ ოპოზიციური ჯგუფების წინააღმდეგ 1921 წლის იანვარში ვ. ი. ლენინი გამოვიდა წერილით „პარტიის კრიზისი“ და ბრძანურით „ერთსელ კიდევ პროფკავშირების შესახებ“, სადაც დაიცვა და განავითარა მარქსისტული შეხედულება პროფკავშირებზე პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში, როგორც მმართველობისა და მეურნეობის გაძღოლის სკოლაზე, როგორც კომუნიზმის სკოლაზე.

პარტიული ხაზის გამარჯვებისა და ლენინის გარშემო, ცენტრალური კომიტეტის ლენინური უმრავლესობის გარშემო პარტიის ღარაზმვის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტალინის სტატიას „ჩვენი უთანხმოებანი“, რომელიც 1921 წლის 19 იანვრის „პრავდაში“ გამოქვეყნდა. ამ სტატიაში ი. ბ. სტალინმა მწვავედ გააკრიტიკა ტროცკისტთა კაპიტულანტური პოზიციები და ცხადყო, თუ რა დიდად მავნე და დამღუპველია იმის ცდები, რომ სამხედრო მეთოდები მექანიკურად გადავიტანოთ პროფკავშირებში. იგი იცავდა იმ აზრს, რომ პროფკავშირებს მთელი თავიანთი საქმიანობა აეგოთ დარწმუნების მეთოდზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში X ყრილობაზე ლენინი ამბობდა, პარტია იმდენად მომზეფიფული აღმოჩნდა, რომ სწრაფად და გადაჭრით უარყო ოპორტუნისტული ბლატფორმები და გაანადგურა ოპოზიციური ჯგუფებიო. ყრილობამ შეაჯამა პროფკავშირების შესახებ წარმოებული დისკუსიის შედეგები და ხმის უფლება მისცა ლენინის პლატფორმა, რომელიც ემყარებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენაში და ახალი საზოგადოების მშენებლობაში მუშათა კლასის ინიციატივის უაღრესად ფართოდ გაშლას.

X ყრილობის დადგენილებით შეიარაღებულმა ჩვენმა პარტიამ შეძლო პროფკავშირების გადაქცევა კომუნიზმის ნამდვილ სკოლად. პროფკავშირები ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მეთაურობენ მშრომელთა საყოველთაო ინიციატივასა და თაოსნობას, მასობრივ კომუნისტურ მოძრაობას, იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, წარმატებით ასრულებენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანას მუშა-მოსამსახურეთა, ყველა მშრომელთა კომუნისტურად აღზრდაში.

X ყრილობაზე სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი, რომელმაც აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის აღდგენის, გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის განმტკიცების ამოცანები მოითხოვენ სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლას, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლას. სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლა გლეხს საშუალებას აძლევდა ის პროდუქტი, რომელიც გადასახადს ზევით რჩებოდა, თავისუფლად გაეყიდა ბაზარზე. ეს კი, როგორც ლენინი აღნიშნავდა, გაადიდებდა გლეხის შრომის ნაყოფიერებას, გამოწვევდა საქონლებრუნვის გაძლიერებას და დანგრეული სახალხო მეურნეობის სწრაფ აღმავლობას, შექმნდა ახალ სამეურნეო ბაზას მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებისათვის, ხელს შეუწყობდა ქალაქისა და სოფლის ეკონომიური კავშირის შემდგომი განვითარების, ქვეყნის მძლავრი ინდუსტრიის — სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის შექმნას.

ამრიგად, ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მუშათა კლასს უნდა ემენინა სოციალიზმი აუცილებლად მშრომელ გლეხობასთან ერთად, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდა.

პარტიის X ყრილობის დადგენილებათა ლენინური დებულებანი, რომლებიც გამომდინარეობდნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკიდან, სოციალიზმის გამარჯვებისათვის მუშათა კლასისა და გლეხობის არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ეკონომიური კავშირის აუცილებლობიდან, წარმოადგენდნენ პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების გზების შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების შემდგომ განვითარებას.

ბოლშევიკების პარტია თანმიმდევრულად და განუხრელად ხელმძღვანელობდა ლენინური მოძღვრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. პარტიამ ყოველმხრივ დაამუშავა ამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების, ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის, ხოლო შემდეგ მათი ლიკვიდაციის **გზებისა და მეთოდების საკითხები,** ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკა — საქართველო, რომელიც რევოლუციამდე მეფის რუსეთის განაპირა ჩამორჩენილ ნახევრადკოლონიურ მხარეს წარმოადგენდა. იგი ამჟამად არის მაღალგანვითარებული ინდუსტრიული რესპუბლიკა, რომელსაც მოწინავე სოციალისტური კულტურა აქვს. იგი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში ბრწყინვალე წარმატებებით ხვდება დიდ მოვლენებს — სკკპ XXIV ყრილობას, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავს.

რკპ (ბ) X ყრილობამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი პარტიის ერთიანობის განმტკიცებაში, ოპორტუნისტული ელემენტებისაგან მის გაწმენდაში. ლენინის მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი ისტორიული რეზოლუცია „პარტიის ერთიანობის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა ბოლშევიკების პარტიის შინაპარტიული ცხოვრების საფუძვლები. ამ რეზოლუციაში ყრილობამ აღნიშნა ის უდიდესი საფრთხე, რასაც ჩვენი პარტიისათვის და პროლეტარიატის დიქტატურისათვის ფრაქციული ჯგუფების არსებობა წარმოადგენდა. ყრილობამ დაადგინა დაუყოვნებლივ დაშლილი ყოფილიყო უკლებლივ ყველა ფრაქციული ჯგუფი, რომლებიც საქმით ეხმარებოდნენ პროლეტარული რევოლუციის ალსაბრძოლ მტრებს, და დაავალა ცენტრალურ კომიტეტს „სრულიად მოესპო ყოველგვარი ფრაქციულობა“. ყრილობამ აგრეთვე დაავალა ცენტრალურ კომიტეტს, და ყველა პარტიულ ორგანიზაციას პარტიული სასჯელის ყოველგვარი ზომები მიეღოთ მერყეევთა და პარტიული დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე ვ. ი. ლენინის რეზოლუცია „ჩვენს პარტიაში სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ“, რომლითაც დაგმო ეგრეთწოდებული „მუშათა ოპოზიცია“ და კომუნისტური პარტიის წევრობასთან შეუთავსებლად ცნო ანარქისტულ-სინდიკალისტური იდეების ქადაგება.

პარტიის ერთიანობისა და ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით ყრილობამ მიიღო დადგენილება საკონტროლო კომისიების შექმნის შესახებ, რომელთა ამოცანა იყო ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, კარიერიზმთან, პარტიის წევრების მიერ თავიანთი პარტიული და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან.

ხელმძღვანელობდა რა X ყრილობის გადაწყვეტილებით „პარტიის ერთიანობის შესახებ“, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამაღა შეურიგებელი ბრძოლა ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც შეეცადნენ დაერღვიათ პარტიის ერთიანობა, აღედგინათ ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფლება, პარტია და ქვეყანა ჩამოეცილებინათ ლენინური გზისათვის. კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამხილეს და თავისი რიგებიდან გააძევეს ლენინიზმის მტრები — ყველა კაპიტულანტი, ტროცკისტთა და ბუხარინელთა ჯგუფები, თავიანთ გარშემო დარაზმეს მშრომელთა უფართოესი მასები ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

რკპ (ბ) X ყრილობამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი პარტიის ერთიანობის განმტკიცებაში, ოპორტუნისტული ელემენტებისაგან მის გაწმენდაში. ლენინის მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი ისტორიული რეზოლუცია „პარტიის ერთიანობის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა ბოლშევიკების პარტიის შინაპარტიული ცხოვრების საფუძვლები. ამ რეზოლუციაში ყრილობამ აღნიშნა ის უდიდესი საფრთხე, რასაც ჩვენი პარტიისათვის და პროლეტარიატის დიქტატურისათვის ფრაქციული ჯგუფების არსებობა წარმოადგენდა. ყრილობამ დაადგინა დაუყოვნებლივ დაშლილი ყოფილიყო უკლებლივ ყველა ფრაქციული ჯგუფი, რომლებიც საქმით ეხმარებოდნენ პროლეტარული რევოლუციის ალსაბრძოლ მტრებს, და დაავალა ცენტრალურ კომიტეტს „სრულიად მოესპო ყოველგვარი ფრაქციულობა“. ყრილობამ აგრეთვე დაავალა ცენტრალურ კომიტეტს, და ყველა პარტიულ ორგანიზაციას პარტიული სასჯელის ყოველგვარი ზომები მიეღოთ მერყეევთა და პარტიული დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე ვ. ი. ლენინის ინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ“, რომლითაც დაგმო ეგრეთწოდებული „მუშათა ოპოზიცია“ და კომუნისტური პარტიის წევრობასთან შეუთავსებლად ცნო ანარქისტულ-სინდიკალისტური იდეების ქადაგება.

პარტიის ერთიანობისა და ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით ყრილობამ მიიღო დადგენილება საკონტროლო კომისიების შექმნის შესახებ, რომელთა ამოცანა იყო ბრძოლა ბიუროკრატიზმთან,

მოგაწოდებთ

მსოფლიო მნიშვნელობის დოკუმენტი

10 მარტი. (საკდესი). სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის დაგეგმვის სახელმწიფო მდივანმა აბმედ მოჰამედ მოჰამუდმა და სათემო განვითარებისა და მეცხოველეობის სახელმწიფო მდივანმა საიდ იბრაგიმ ჰაჯი" საიდმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი შეაფასეს როგორც უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, როშელსაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვისაც.

საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში აბმედ მოჰამედ მოჰამუდმა კრძოდ, ყურადღება მიაქცია „საბჭოთა დაგეგმვის ყოვლისმომცველ ხასიათს, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ცხოვრების ყველა ასპექტს, რათა დასაბოს მთელი ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების კონკრეტული პერსპექტივები".

„დირექტივების პროექტის უდავო მნიშვნელობა ის არის, განაცხადა თავის მხრივ საიდ იბრაგიმ ჰაჯი საიდმა, რომ მისი მიზანია განამტკიცოს საბჭოთა სახელმწიფოს არსებული ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური საფუძვლები და დაარქაროს კომუნისტური საზოგადოების აშენება სსრ კავშირში".

მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს ეროვნის, ეზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას. „ეს ადასტურებს, — თქვა სახელმწიფო მდივანმა, — რომ „ეს დოკუმენტი არა მარტო ეროვნული, არამედ ინტერნაციონალური ხასიათისაა".

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

● **9 მარტს მოსკოვში წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად ბელი მოაწერეს ოქმს 1971-1972 წლებში საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის საქონელბრუნვის შესახებ. საბჭოთა კავშირი თურქეთში გაიტანს მანქანებსა და მოწყობილობას, ნავთობპროდუქტებს, შავ ლითონებს, ქიმიურ სასუქებს, კალციინირებულ სოდას, საგზეთო ქაღალდსა და მთელ რიგ სხვა საქონელს. თურქეთში საბჭოთა კავშირი იყიდის ბამბას, პირუტყვს, ხველ ხილს, ციტრუსებს, თხილს და სხვა საქონელს.**

● **საშრანგეთის პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ დღეს ელისეს სასახლეში მიიღო საბჭოთა კავშირის ელჩი ვ. ა. ზორინი. საუბრის დროს ისინი შეეხნენ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა კავშირში პრეზიდენტ პომპიდუს ვიზიტის დროს მიღწეულ შეთანხმებათა განხორციელებას.**

● **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ თვითმფრინავებმა და ვერტმფრინავებმა 6, 8 და 9 მარტს შეცდომით დაბომბეს და რაკეტები დაუშინეს ლაოსში შეკრილი სამხრეთ ვიეტნამის ჯარების პოზიციებს ქალაქ ჩეპონის რაიონში. ამ დაბომბვის შედეგად დახოცილი და დაჭრილია 62 საიგონელი ჯარისკაცი.**

● **12 მარტს სირიაში გაიმართება რეფერენდუმი. ამომრჩევლები გამოთქვამენ თავიანთ დამოკიდებულებას სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჰაფეზ ასადის კანდიდატურისადმი რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.**

● **პორტ-ო-პრენსაში გამომძღვანდა ახალი სამხედრო შეთქმულება ჰაიტის დიქტატორის ფრანსუა დიუვალიეს წინააღმდეგ. წარუმატებელ შეთქმულებაში მონაწილეობდა დიუვალიეს რეჟიმით უკმაყოფილო 40-მდე ოფიცერი.**

● **სპეციალურმა მაშველმა ჯგუფმა ალპებში კლდიდან ჩამოიყვანა ნაგაზი ტიტუსი. მან ერთი კვირა გაატარა მშიერმა მაღალ მთებში მას შემდეგ, რაც მთის საფარის ქვეშ აღმოაჩინა თავისი პატრონი — ალპინისტი დანიელ ჯორია და ამოთხარა იგი თოვლიდან. ალპინისტი თვითონ ძლივს ჩამოვიდა ციცაბო კედლით, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები გაეშურნენ მისი მხსნელის გადასარჩენად. ახლა ტიტუსი და მისი პატრონი თავს უკეთ გრძნობენ.**

● **ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲧᲐᲚᲘ პირველი კომეტა აღმოაჩინა კომპაქვის უნივერსიტეტის (ტოკიო) 20 წლის სტუდენტმა კენძი ტომამ. ნათების სიკაშკაშით მე-10 სიდიდის კომეტა მან შეამჩნია მერნის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ვარსკვლავის მახლობლად 8 მარტს დილის 4 საათსა და 05 წუთზე ტოკიოს დროით.**

საკდესი-ფრანს პრესი-პრესნა ლატინა.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲥᲘᲜᲝᲙᲐ

სასამართლოს გადაწყვეტილება

10 მარტი. (საკდესი). თურქეთის უზენაესმა საკასაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ორი ბანდიტი, რომლებმაც გასული წლის ოქტომბერში შეიარაღებული თავდასხმა მოახდინეს „ან-24" საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავზე, სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან.

ამით საკასაციო სასამართლომ გაიუქმა ქალაქ ტრაპიზონის სასამართლო ხელისუფალთა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ბრაზინსკასთა დანაშაული იყო არა სისხლის სამართლისა, არამედ პოლიტიკური. ამ „სიფუძელზე" ტრაპიზონის სასამართლომ, როგორც უკვე იუწყებოდა პრესა, უარიყო სახელმწიფო პროკურორის მოთხოვნა დამნაშავეთა დასაატმრებლად ორდენის გაცემის შესახებ.

საკითხს შემდგომი ღონისძიებების შესახებ ბანდიტების მიმართ, რომლებმაც მოახდინეს შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა თვითმფრინავზე, გადაჭრის თურქეთის იუსტიციის სამინისტრო.

აზალი ᲔᲢᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲖᲘᲙᲝ

10 მარტი. (საკდესი). შეერთებული შტატები ემზადება, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც აპრილში გაიმართება სან-ხოსეში (კოსტა-რიკა), გამოიყენოს ლათინური ამერიკის ქვეყნების წინააღმდეგ ახალი ფართო შეტევისათვის.

ამას წერს გაზეთი „დიას" ცნობილი მექსიკელი მიმომხილველი სალვადორ კარმონ ამოროსი. როგორც იგი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გ. კისინჯერის თავმჯდომარეობით შეიქმნა „სამუშაო ჯგუფი", რომელშიც შედიან ცენტრალური სალაზერვო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები. ამ „ჯგუფს" დაევალებული აქვს განახორციელოს კოდური „ოპერაცია სან-ხოსე".

ეს ოპერაცია, წერს ავტორი, მიზნად ისახავს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ჩილეში, პერუსა და ბოლივიაში, რათა შეაფერხონ რევოლუციური ტენდენციები კონტინენტზე და ხელი შეუშალონ ლათინური ამერიკის ქვეყნების დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობას აღდგენას კუბის რესპუბლიკასთან და სოციალისტურ ქვეყნებთან.

ამავე მიზნით, აღნიშნავს მექსიკელი მიმომხილველი, ამერიკის შეერთებული შტატები ემზადება უახლოეს ხანში გააძლიეროს ანტისაბჭოური და ანტიკუბური კამპანია, რომლებსაც ბრალად სდებს ლათინურ ამერიკაში „შეღწევას". ამერიკის ხელისუფალნი ეარაუდობენ აგრეთვე მოაწყონ პროვოკაციული გამოსვლები იმ მთავრობათა წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ ხელსაყრელი ურთიერთობა დაამყარონ სოციალისტურ ქვეყნებთან.

ᲙᲐᲠᲐᲥᲐᲡᲘ

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲐ ᲐᲙᲕᲘᲠᲔᲑᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲡ

10 მარტი. (საკდესი). ვენესუელამ გამოაცხადა, რომ 18 მარტიდან 33 პროცენტით გაადიდებს ნავთობის საექსპორტო ფასებს. ეს გადაწყვეტილება მიღებულია ეროვნული კონგრესის მიერ მოწონებული დეკრეტის საფუძველზე, ავრეთვე იმ ქვეყნების ორგანიზაციის ამასწინანდელი სესიის რეზოლუციების შესაბამისად, რომლებსაც საექსპორტოდ გააქვთ ნავთობი.

ნავთობის გაძვირებით ვენესუელა ნაწილობრივად აინაზღაურებს იმ ზარალს, რომელსაც მრავალი წლის ბატონობით აყენებენ უცხოთის, უმთავრესად ამერიკის ნავთობის მონოპოლიები. მარტო უახლოესი სამი წლის მანძილზე ქვეყანა ნავთობის გაყიდვით დამატებით მიიღებს 1300 მილიონ დოლარს.

ᲢᲝᲙᲘᲝ

ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲐᲗᲐ ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲘ

10 მარტი. (საკდესი). ამერიკის მონოპოლიები ცდილობენ ფეხი მოიკიდონ ოკინავაზე, რათა ეს კუნძული გამოიყენონ პლაცდარმად იაპონიაში შეღწევისათვის.

როგორც კოდო ცუსინის საგენტო იუწყება, რიუკიუს კუნძულების ადმინისტრაციამ, რომელთა შემადგენლობაში ოკინავა შედის, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი კომისრის დიდ ზეგავლენას. კომისარი მოითხოვს, რომ ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ამერიკის სამი კომპანიის პრივილეგირებული მდგომარეობა კუნძულის ეკონომიურ ცხოვრებაში.

ოკინავაზე კაპიტალის დაბანდების ნებართვა სურს მიიღოს ამერიკის ნახევარგამტართა მწარმოებელ ეროვნულ კორპორაციას. ამ დროს კი იაპონიის კაპიტალს შიაჩნია, რომ ნახევარგამტართა წარმოება მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია და მკაცრად ადევნებს თვალს, რომ უცხოეთის შემზღუდველი ბარიერები შეუქმნას. ოკინავიდან იაპონიის ბაზარზე შეეჭრას აპირებენ ამერიკის სხვა კომპანიებიც, კერძოდ, „ალფ ოილ კორპორეიშნი" და „ესო".

ეს კომპანიები ცდილობენ, რომ ოკინავაზე განლაგებული მათი ნავთობსაბდელი ქარხნები ამოიღონ იმ საწარმოთა სიიდან, რომლებსაც ბაჟს აღებენ და შეიტანონ „თავისუფალი ვაჭრობის ზონაში".

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲥᲮᲙᲚᲘ ᲙᲒᲠᲘᲗ

10 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს განაგრძოს რადიოსადგურების — „თავისუფალი ევროპისა" და „თავისუფლების" დაფინანსება და ახლა ამისათვის ახალ ამრებს ეძებს.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, ამ საკითხზე წინადადებათა შემუშავება დაევალა ეგრეთწოდებულ „ორმოცთა კომიტეტს", რომელიც, როგორც გაზეთი წერს, „ხელმძღვანელობს მთავრობის ყველაზე საჩოთირო საიდუმლო ოპერაციებს".

ამ კომიტეტის შემადგენლობაში არიან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი რიჩარდ ჰელმსი, პენტაგონის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები.

სენატორ კეისის საჯაროდ მხილებამ, რის შედეგადაც გამოირკვა, რომ ამ ორივე რადიოსადგურს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აფინანსებს, გააქარწყლა ფიქცია, თითქოს ისინი კერძო შეწირულებებით არსებობდნენ, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი". როგორტ ჩანს, აღნიშნავს გაზეთი, პრეზიდენტი ნიქსონი ამით ხელმძღვანელობდა, როცა „გასცა ბრძანება შეესწავლათ" ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ამ რადიოსადგურების დაფინანსების შესაძლო მეთოდები.

როგორც გაზეთი წერს, ერთ-ერთი ალტერნატივაა, რომ შეიქმნას ახალი „დამოუკიდებელი" სამმართველო ამ რადიოსადგურების სახელმძღვანელოდ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ

ᲓᲔᲚᲘ

10 მარტი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პარლამენტის საყოველთაო არჩევნების უკანასკნელი დღეა. დილით დაიწყო ხმის მიცემა დასავლეთ ბენგალიაში, როგორც სარიოზულ მღელვარებას მოუცავს.

ამ შტატში განხორციელდა უშიშროების საგანგებო ღონისძიებანი. დედაქალაქ კალკუტასა და მის გარეუბნებში თავმოყრილია ჯარისა და პოლიციის ქვეგანაყოფები. საარჩევნო უბნებში დგას შეიარაღებული დაცვა.

22 მაღლობნმა ბენგალელმა უნდა აირჩიონ პარლამენტის სახალხო პალატის 40 დეპუტატი და შტატის საკანონმდებლო კრების 277 დეპუტატი. დასავლეთ ბენგალიის რვა მემარცხენე პარტიის გაერთიანებულ დემოკრატიულ ფრონტს არჩევნებში მეთაურობს ინდოეთის კომუნისტური პარტია. კომუნისტები და მათი მომხრე მემარცხენე პარტიები გამოდიან დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის შტატში ექსტრემისტულ ელემენტთა ხრიკების შედეგად.

დღეს მთელ ქვეყანაში დაიწყო ხმების დათვლა, რომლებიც ამომრჩევლებმა მისცეს ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის არჩევნებზე. როგორც ინდოეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ინდოეთის დედაქალაქის დელის ოთხ საარჩევნო ოლქში დამაჯერებლად ლიდერობენ მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის კანდიდატები, რომელიც ებრძვის რადიკალური სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნებისათვის.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ საარჩევნო კომისიის მონაცემებით, დათვლილი ხმები ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ 52 ათასი ხმით მეტი მიიღო, ვიდრე მისმა ძირითადმა მეტოქემ რაჯ ნარაიანამ.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის მმართველი პარტიის წარმომადგენელი ი. ბ. ჩავანა, სვარან სინგჰი და კარან სინგჰი აგრეთვე მნიშვნელოვნად უსწრებენ თავიანთ უახლოეს მეტოქეებს.

200 საარჩევნო ოლქიდან 178 ოლქში, სადაც ხმის დათვლა დაიწყო, ლიდერობენ ინდოეთის ეროვნული კონგრესის მმართველი პარტიის კანდიდატები.

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲘ

10 მარტი. (საკდესი). ბუენოს აირესიდან ცნობილია, რომ ინფორმაციის ეროვნული ბიურო ინფორმაციებს ავრცელებს, ოფიციალურ ადგილებზე ეჭვი ეპარებოდა, ეროვნული ინფორმაციის

შრომა სულისა

ვ. ა. სუხომლინსკი

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს გამოჩენილი კედაგოგი-მოაზროვნის ვ. სუხომლინსკის სახელს. „კომუნისტის“ ფურცლებზე ჯერ კიდევ შარშან გამოქვეყნდა ნაწყვეტი სათაურით „ადამიანი გახდი“ მისი წიგნიდან „საუბრები ეთიკაზე“.

„შრომა სულისა“ ვ. სუხომლინსკის ერთ-ერთი უაღესადილი სტატიაა, რომელიც მას გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდისათვის“ გაუგზავნია.

□ □

ეს იყო ერთ-ერთ სოფლის სკოლაში. იმ ოთახის ფანჯრების წინ, სადაც პირველკლასელები მეცადინეობდნენ, უსოვარი დროოდან სანაგვე იყო, სარეველა ბალახით დაფარული. კაკანელის ზარი რომ დაირეკებოდა და მორიგე მოახსენებდა მარია პეტროვნას, ვინც არ იყო იმ დღეს სკოლაში, სანაგვესთან გამოჩნდებოდნენ ხოლმე მოხუცები — პაპა პანასი და ბებია ანგელინა. იმათ ძველი ტომრის ნაგლეჯით მოაქონდათ აქ ნაგავი. რამდენიმე წუთს გაჩერდებოდნენ, ბებია ტომრის ნაგლეჯს დაბერტყავდა, და მორიგე საკლასო ოთახის ფანჯრებს დახურავდა.

გადიოდა წლები, პაპა და ბებია სულ უფრო ღრმა მოხუცები ხდებოდნენ, სკოლიდან ერთმანეთის მიყოლებით მიდიოდნენ აღსაზრდელთა სულ ახალი და ახალი თაობები, ხოლო სანაგვე კვლავ განაგრძობდა თავის ცხოვრებას: იქ ომალებოდნენ ზღაპრები, ხოლო გაზაფხულზე ნარშავით იფარებოდა იქაურობა...

მაგრამ აი სექტემბრის ერთ საუცხოო დილას განაპირა მერხს მიუჯდა პატარა პირველკლასელი მარისია — ლურჯთვალა თეთრნაწნავიანი გოგონა. ბებია ანგელინამ ტომარას რომ დაუწყო ბერტყვა, მარისიამ თქვა:

— უჰ, რა საძაგელი სანაგვეა... ნარშავიც — ფანჯრების წინ. მოდით, მასწავლებელო, აგიღოთ, სანაგვე, ნარშავიც ჩამოვალიჯოთ, და ყვავილები დავრგოთ!

მარია პეტროვნას მანამდე თითქმის არც შეუმჩნევია სანაგვე. ახლა კი, მარისიას სიტყვები რომ გაიგონა, გაიფიქრა, მართლაც, რატომ გვაქვს ასეთი სისაძაგლე ფანჯრების წინ? რატომ აქამდე არ მივაქცია ამას ყურადღება?

გაჩაღდა მუშაობა. ბავშვებმა კალათებითა და ვედროებით გაზიდეს ნაგავი. სარეველებისაგან გაასუფთავეს ეზო და — როგორც მარისიას წინადადება იყო — ყვავილები დარგეს.

თუ გნებავთ, სწორედ აი ასეთ პატარა, ერთი შეხედვით შეუმჩნეველ მოვლენებშია აღზრდის მთელი არსი. როგორც კი პატარა ადამიანი იძენს უნარს ჩაუფიქრდეს იმას, რაც მის გარშემოა, რაც უშუალოდ მას ეხება და მასთან აქვს კავშირი, — მას უკვე შეუძლია განასხვავოს სილამაზე სისაძაგლისაგან, მომზიბლავობა — უხამსობისაგან. სწორედ იმაში, თუ რობრ ხედავ სილამაზესა და სისაძაგლეს, მომზიბლავობასა და უხამსობას, როგორ ეკიდები მათ, გამოიხატება პიროვნება, მისი შემოქმედებითი, მშფოთვარე ძალები. თავის გარშემო სამყაროს რომ აკვირდება და ხედავს მას დაინტერესებული თვალით, ადამიანი უნდა სწავლობდეს გაგებას, უფრო ზუსტად, თანდათანობით უდგებოდეს განსაკუთრებით დიფერენცირებულ რამის გაგებას: ყოველმა ნაბიჯმა, რომელიც უნდა გადადგა, შეიძლება მიმიყვანოს ან კეთილშობილებამდე, ან სიზიზღრობამდე. მეორე გზის არჩევა ნიშნავს ბოლომდე ჩაიხსნა სული. არაფერს არ ამჩნევდე, არაფერი არ გაღელვებდეს, არაფერი არ გაშფოთებდეს და არ გაწუხებდეს, ყველაფერს შეეგუო. გულგრილობა — მანკიერებაა, რომელიც ადამიანს უნერგავს სამარცხვინო და დამღუპველ აზრს, რომ სამყარო თავისთვის არსებობს, მე კი — ჩემთვის, შემიძლია ვიცხოვრო ქვეყნად უზრუნველად და შეუმჩნეველად, თვალი ავარიდო იმას, რომ სიბილწეს შეუძლია ნთქამდეს და სპობდეს სიკეთეს, ხოლო სიკეთე სუსტი და უმწეო იყოს.

საცა გულგრილობაა, იქ არ არის ნამდვილი პიროვნება. მე ვამაყობ ჩემი პედაგოგიური კრედოთი: ჩემს საყვარელ მოწაფეებად მიმაჩნია არა გამოჩენნი და უსიტყვონი, რომლებიც მზად არიან ყველაფერს დაეთანხმონ და ყველაფერი შეასრულონ, არამედ თავისნება, ნებისყოფიანი, მოუსვენარი ზოგჯერ ინსაბაზები და ეკლექტები, მაგრამ ისეთები, რომლებიც ჯანყდებიან ბორტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ, მზად არის თავი გასწიონონ, მაგრამ დაიცვან პრინციპები. რომლებიც ეთი პიროვნებისაგან განუყოფელი გახდა. როგორ უნდა ვეფფრთხილდებოდეთ, როგორ უნდა ვეფლოლიავებოდეთ ადამიანში ამ ერთი შეხედვით ზოგჯერ შეუმჩნეველ ყლორტებს, ყლორტებს სულისა, რომელიც მზად არის მამაცური და უკომპრომისო შრომისათვის, სიმართლის, კეთილშობილების დასაცავად ბრძოლისათვის.

მე აღზრდის უმნიშვნელოვანეს კანონად მიმაჩნია, ის რომ უკვე ბავშვობის წლებში. განსაკუთრებით ბავშვობისა და ყრმობის მიჯნაზე, თვითეული ადამიანი გამარჯვებული გამოდიოდეს ბორტებასთან ბრძოლაში, იგრძნოს კეთილშობილების სილამაზე.

იყო ერთ სოფელში კაცი, სახელად მათე ერქვა. ჰყავდა ორი ბიჭი, რომლებიც სკოლაში დადიოდნენ, მეორე და მესამე კლასში. ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, იქნებ ჯერ კიდევ მათეს პაპას შუა ეზოში ჭა ამოეთხარა. წყალი იქ ისეთი გემრიელი გამოდგა, რომ მთელი ქუჩიდან ხალხი მათეს ჭაზე დადიოდა. მაგრამ აი მათეს არ მოეწონა, რომ ხალხი მის ეზოში შემოდიოდა, ჭიშკარს მოსვენება აღარ ჰქონდა. თანაც ეზოში შემოსვლაც ვერ აკრძალავს, ფშინია: ხალხს შევჯავრდებიო, რადგან წყალზე უარის თქმა სოფელში დანაშაულად ითვლება. და აი რა ქნა მათემ.

როგორც კი თოვლი დადნა, ჭის გარშემო მიწა გადაბარა და კიტრი დათესა. ამოვიდა კიტრი, მწვანე მსხვილი კავები ხალიჩასავით დაეფინა. მოვა მეზობელი წყლისთვის, შეხედავს მწვანეს და უკან გაბრუნდება: უხერხულია მკვნარის გათელვა. თანდათან ხალხმა დაანება თავი მათეს ეზოში სიარულს. სხვები რომ მოეტყუებინა, თვითონაც სოფლის მეორე ბოლოდან ეზიდებოდა წყალს. მაგრამ ერთხელ ბავშვები აცრემლებული მოვიდნენ სკოლიდან და უთხრეს:

— ამხანაგები დაგვცინიან... მამათქვენი უქმურიაო.

ღამე ისინი ჩუმად წამოდგნენ ლოგინიდან, გავიდნენ ეზოში, ძირიანად დაგლეჯეს კიტრი და არხში გადაყარეს.

მამას ხმა არ გაუცია ბავშვებისათვის.

აი ამბავი, რომელიც ბავშვების სულიერ ცხოვრებაში შევიდა, როგორც მძაფრი ბრძოლა სისაძაგლესთან. რა არის საჭირო, რომ თქვენი პატარა აღსაზრდელი უშიშრად ჩაებას ამ ბრძოლაში და, გამარჯვებული რომ გამოვა, სამუდამოდ განიმტკიცოს თავისი სულიერი ძალები?

მრისხანება, სირცხვილი, სინდისი — ამ გრძნობების შენადნობი იძლევა იმას, რასაც შეიძლება მამაცური შეგნება მედების, იდეალისადმი სწრაფვას. ჩემი პედაგოგიური კრედოს ერთ-ერთი ჭეშმარიტებაა ასეთი კანონზომიერების ღრმა რწმენა: რაც უფრო მაღალი, ბრწყინვალე, დიადია იდეალი, რომელამდეც უნდა წარვმართო, ავამაღლო ჩემი აღსაზრდელის სული, და მით უფრო ცხადი, თვალსაჩინო იყოს რეალური სამყარო, რეალური საგნები, რომლებიდანაც იდეალი გამომდინარეობს. საჭირო არ არის სადღაც ცხრა მთას იქით ეძებო სახე იდეალური ადამიანისა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს აღტაცება, განცვიფრება: გარწმუნებთ, იგი თქვენს მშობლიურ სოფელშია. მშობლიური ქალაქის ქუჩაზეა, ოღონდ უნარი უნდა შეგწევდეთ ხედავდეთ იდეალურობას რეალობაში, და სწორედ ამაშია აღზრდის ერთ-ერთი საიდუმლოება.

სულის შრომა ნიშნავს იტანჯებოდე, ავად იყო ადამიანის, უწინარეს ყოვლისა დედის, მამის, დის, პაპის, ბებიის, ტანჯვითა და ტკივილებით. ნუ ეგონათ გადამალოთ ნორჩი გული ამ ტანჯვისათვის — ეს ტანჯვა კეთილშობილურია. დაე ცხრა წლის ვაჟიშვილმა ღამე უძილოდ გაატაროს ავად გახდარი დედის თუ მამის ლოგინთან, დაე სხვისმა ტკივილმა აღავსოს მისი გულის ყოველი კუნჭული. პედაგოგიკაში ერთ-ერთი ყველაზე ძნელი საქმეა ასწავლო ბავშვს შრომა სიყვარულისა.

მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სულის შრომა გამოიხატება წყენით გულის ტკენით, ტანჯვითაც კი — ნუ შეუშინდებით ამას! იგი დიდ ძალასა და დაძაბვას მოითხოვს. იმაზე, თუ როგორი აქვს ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა — იოლი და უღრუბლო, გაუჭირვებელი და სიძნელეთაგან თავისუფალი, თუ აუტანლად ძნელი, გადამწყვეტად დამოკიდებულია, ვინ გამოვა — შეუდრეკელი პიროვნება, რომელიც მზად არის თავი გასწიროს და თავისი პრინციპები კი არ უარყოს, თუ უნებისყოფო და დონდლო არსება.

ის, რასაც მე სულის შრომისადმი მიდრეკილების აღზრდას ვუწოდებ, უნდა იყოს მასწავლებლის ნებისყოფის მძლავრი და ამავე დროს აღსაზრდელისათვის თითქოს შეუმჩნეველი მოქმედება. პატარა ადამიანი უნდა გრძნობდეს, რომ მას არავინ არ უბიძგებს და იგი ხელით არავის მიჰყავს. აქ უდიდეს როლს ასრულებს მასწავლებლის არა მარტო სიტყვა, არამედ მისი შეხედვაც, წახალისებაც, დარიგებაც, მთავრობებიც.

აღზრდის ოსტატობა მე ისე მესმის, რომ აღმზრდელის ყოველი შეხება თავის აღსაზრდელთან საბოლოო ანგარიშით სულის შრომისადმი მიდრეკილების აღზრდაა. რაც უფრო სათუთი და ნაზია ეს შეხება, ეს მიდრეკილება, მით უფრო მეტია სულის სიღრმიდან მომდინარე ძალები, მით უფრო მეტად ხდება პატარა ადამიანი თავისი თავის აღმზრდელი. უნდა შევნიშნო, რომ უნებისყოფო, უურინციპო ადამიანები, რომლებიც მზად არიან იქით გადაიხარონ, სათაც ქარი უბერავს, იზრდებიან სწორედ იქ, სადაც აღმზრდელს წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რა არის შრომა სულისა, თუ როგორ უნდა შეეხო სულის იმ ყველაზე ფაქიზ კუნჭულებს, რომლებსაც ჩვენ ადამიანურ ღირსებას, თავმოყვარეობას ვუწოდებთ, თუ გინდათ, რომ პატარა ადამიანი პატივს სცემდეს თავის თავს, უნარი უნდა გქონდეთ, ხატოვნად რომ ვთქვათ, გაკვეთილებს აძლევდეთ მას. მე შემიძლია გითხრათ ერთ-ერთ ასეთ გაკვეთილზე.

კოლიამ, სკოლიდან რომ დაბრუნდა, მამას უთხრა:

— მამი. ამ საღამოს მშობლთა კრებაა.

საღამოს მამა კრებაზე წავიდა. კოლია მაგიდას მიუჯდა და საშინაო დავალების შესრულებას შეუდგა. გაკვეთილები რომ ისწავლა, დაამარა გასასეირნებლად წასულიყო. მაგრამ ვერ მოასწრო, იმიტომ რომ მამა კრებიდან დაბრუნდა. იგი მაგიდასთან დაჯდა და თავი ხელებზე ჩამოდო. დედა შეწუხებული უყურებდა.

— რა თქვეს კრებაზე.

— პეტიაზე თქვეს, ამოცანები კარგად გამოჭყავსო... მიშას ლექსი დაუწერია, სასკოლო კედლის გაზეთში მოუთავსებიათ. მაშა და ნატაშა კარგად სტავენ — რა ლამაზ ნახატებს გვიჩვენებდა მასწავლებელი! სტეფანეს ხიდან დანით ბუღბული გამოუთლია. ვასილკოს სასკოლო ნაკვეთზე ყვავილები დაურგავს და ყოველდღე რწყავს...

— კოლიაზე თუ კარგი რამე თქვა მასწავლებელმა? — იკითხა დედამ.

— კოლიაზეც თქვა... — ამოიოხრა მამამ. — კოლია ყველაზე მაღალი ხის კენწეროზე აცოცებულა. ვერავის ვერ გაუბედავს. ეს კი აცოცებულა. — მამამ მოწონებით შეხედა კოლიას. დედამ კი არ იცოდა, სიხარული გამოეთქვა თუ გაჯავრებულიყო.

— ეს გუშინ იყო, — თქვა კოლიამ. — ჩვენ შევეჯიბრეთ ერთმანეთს: პირველი ვინ დაინახავდა მზის ამოსვლას. მე ზედ კენწეროზე აცოცდი და დავინახე, როგორ ამოდის მზე მთის იქიდან.

გვახსოვდეს, ძვირფასო მეგობრებო, რომ სულის ასეთ პატარა შრომაში, ასეთ თითქოს შეუმჩნეველ რამეში ზოგჯერ სათავეს იღებს გმირობა, სათავეს იღებენ დიადისა და წმიდისადმი — სამშობლოსადმი ერთგულების ის მოწანწკარე ნაკადულები, რომლებისგანაც იქმნება მდინარე ვაჟკაცობისა.

ორიგი VII საკავშირო ფესტივალისათვის ემზადებიან ზესტაფონის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „გაზაფხულის“ ნორჩი მოცეკვავენი.

წარმატებით ჩაიარა ანსამბლის გასტროლებმა შარშან ლატვიაში, ლიტვაში, მოსკოვსა და ლენინგრადში. საქართველოს წარგზავნილებმა მრავალი თაყვანისმცემელი და მეგობარი შეიძინეს.

50 მოსწავლე მეცადინეობს ამ თვითმოქმედ ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობს საკავშირო ფესტივალების ლაურეატი ქორეოგრაფი რეზო აბრამიშვილი. ანსამბლის წევრებმა უკვე მოამზადეს ცეკვები „ფერხული“, „აჭარული“, „ქართული“ და სხვ.

სურათზე: ანსამბლის წევრები ასრულებენ „მთიულურს“.

ფოტო ბ. ბერსამიანი (საქდესის ფოტოქრონიკა)

ჩემპიონატი მთავრდება, ჩემპიონი კი...

დიდ კალათბურთის ფინინი აქვს, ჩემპიონობის საკითხი კი ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ამაში ალბათ გადამწყვეტ როლს შეასრულებს ოქროს მაძიებლების — ლენინგრადის „სპარტაკისა“ და ცსკა-ს მატჩი მოსკოვში. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სპარტაკელებს შინ გასამართავი აქვთ მატჩი კაუნასის „ჟალგირისთან“, წოლო არმიელები თბილისში უნდა შეხვდნენ ადგილობრივ „დინამოსა“ და „ბურევესტნიკს“.

მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდმა და რიგის ვეფ-მა უკვე დატოვეს უმაღლესი ლიგა. შესაძლოა მათ შეუერთდეს რიგის სკა. 9 მარტს რიგელები საკუთარ მოედანზე დამარცხდნენ კაუნასის „ჟალგირისთან“ შეხვედრაში 99:103. მატჩი მინსკში რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდსა და თბილისის „ბურევესტნიკს“ შორის დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით 75:72.

გადავხედოთ მეტოქეთა საბურთნაო მდგომარეობას:

გაკთამაშების ცხრილი

ქირითადი შემადგენლობა

მდგომარეობა 11 მარტისათვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ჯ.
„სპარტაკი“ (ლ.)	20	17	3	1419-1224	17
ცსკა	19	15	4	1502-1332	15
„ჟალგ.“ (კაუნ.)	21	15	6	1723-1628	15
„დინამო“ (მ.)	22	13	9	1721-1622	13
„სტროიტ.“ (კ.)	21	11	10	1559-1507	11
„კალევი“ (ტ.)	21	10	11	1591-1565	10
„დინამო“ (თბ.)	19	10	9	1466-1514	10
„ბურევეს.“ (თბ.)	19	8	11	1405-1459	8
სკა (კ.)	21	7	14	1417-1523	7
სკა (რ.)	22	7	15	1595-1708	7
ვეფ (რ.)	22	6	16	1640-1815	6
რტი (ვნ.)	21	5	16	1432-1573	5

სსრ კავშირის თასზე

გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. უმაღლესი ჯგუფის გუნდები ბრძოლაში 15 მარტიდან ჩაებმებიან. მეოცდათორმეტედ, მეთექვსმეტედ და მერვეედფინალებში მეტოქეები ერთმანეთს ორჯერ შეხვდებიან.

2 მარტს აშხაბადში პირველი ოცდამეთორმეტედფინალური მატჩი ჰქონდათ ვილნიუსის „ჟალგირისსა“ და დუშანბეს „პამირს“. წარმატება „პამირს“ ხვდა 3:2.

გუშინ გაიმართა ოცდამეთორმეტედფინალის მეორე მატჩები.

ტურნე ამერიკაში

გუშინ მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა სსრ კავშირის ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი გუნდის შემადგენლობაშია მსოფლიოს ოთხი ჩემპიონი — მახაჩკალელი ი. შახმურადოვი, მოსკოველი გ. სტრახოვი, თბილისელი შ. ლომაძე, მინსკელი ა. მედვედი. საბჭოთა მოჭიდავეები ამერიკის შეერთებულ შტატებს 13 წლის წინათ ეწვევნენ, ამ ხნის განმავლობაში მათ ოთხი შეხვედრა გამართეს და ოთხივე მოიგეს.

გუშინ სპორტის სასახლეში

ხელბურთელ ვაჟთა რვა უძლიერესი კოლექტივი ებრძვის თბილისში ჩვენი ქვეყნის პირველობისათვის. გუშინ სპორტის სასახლეში შედგა მეორე ტურის მატჩები.

ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის „კუზნეცკის“ მატჩი წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, რომ თბილისელებმა პირველი ტაიმი წაგაგეს 3:6, მეორე ნახევარში შეძლეს ბრძოლაში გარდატეხის შეტანა და შეხვედრის მოგება 11:10.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: ზმეტი (ზაპოროჟიე) — სკ (ტარასპოლი) 23:11, „უნივერსიტეტი“ (კრასნოდარი) — ცსკა 21:20, მაი (მოსკოვი) — ზასი (ზაპოროჟიე) 22:19.

ორი ტურის შემდეგ ლიდერები არიან მაი-სა და „უნივერსიტეტის“ გუნდები, რომლებსაც 4-4 ქულა აქვთ. დღეს შედგება მორიგი შეხვედრები.

რამდენიმე სტრიქონით

● **მაგიდის ჩოგბურთი.** მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. წარმატება საბჭოთა გუნდებს ხვდათ. ქალთა ერთეულებში გაიმარჯვა ზ. რუდნოვამ, ვაჟთა შორის — მ. ორლოვსკიმ, ქალთა წყვილებში — დ. ამელინამ და ე. გოლუბკოვამ, ვაჟთა წყვილებში — ე. შელერმა (გფრ) და ი. ბერეეიმ (უნგრეთი), შერეულ წყვილებში — ს. გომოზკოვმა და ზ. რუდნოვამ.

● **ფეხბურთი.** გუშინ ხოტუვში გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ პოლონეთის „გურნიკისა“ და ინგლისის „მანჩესტერ სიტის“ (თასის მფლობელი) გუნდები. გაიმარჯვეს პოლონელებმა 2:0.

● **ტყვიის სროლა.** დუშანბეში რამდენიმე დღეა გრძელდება საკავშირო შეჯიბრება ტყვიის სროლაში. „გაქცეულ ტახზე“ სროლაში წარმატებით გამოვიდა ვ. პოლოსინი (დუშანბე), რომელმაც 600-დან 564 ქულა შეაგროვა და მსოფლიო რეკორდს 2 ქულით გადაეჭარბა.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ჩამწარებული ქორწილი

ქორწილს სუფრა ნაომარ ველს ჰგავდა. ნაქიფარი ხალხი ზოგი ფეხზე თვლემდა, ზოგიერთებს სუფრაზე დაეფოთ თავი და ისე ეძინათ. ვისაც წასვლა უნდოდა, თამადა ორლერტრიანი ყანწის დაუცლელად ადგილიდან ფეხს არ აგდებინებდა. მოქეიფეები თერჯოლაში მოსულიყვნენ საკუთარი და სახელმწიფო მსუბუქი ავტომანქანებით, ტაქსებით, ავტობუსებით, რათა ნიფეი-დიდფოლისათვის გაბედნიერება მიელოცათ.

მთვრალ სტუმრებს ბეჭებზე გაედოთ ჯოხებზე წამოცმული ნასუფრალი და გარბა

ითა და სიმღერით მიდიოდნენ...

ქორწილისათვის კარგახანია ემზადებოდა ადიგენის რაიონის სოფელ დიდ სმადაში მცხოვრები ზიგელდ აბზროსის-ძე გელაშვილი. მან განცხადებით მიმართა ადიგენის ავტოსაწარმოო კანტორას (უფროსი ს. მერაბიშვილი), რათა თერჯოლაში წასასვლელად ავტობუსი მიეკირავებინათ. დაკვეთილი ავტობუსით ჩამოვიდა ზ. გელაშვილი ამ ქორწილში. ერთი წვეთი ღვინო არ დაუცლია, ფეხზე ძლივს იდგა, და ვისაც კი თვალს მოაკრავდა, ყველას მანქანაში ეპატიჟებოდა. 24-ადგილიან ავტობუსში 35 კაცი ძლივსძლივობით მოათავსა მძღოლმა გივი სილოვანის-ძე გველესიანმა. სუნთქვა და განძრევა ჭირდა ავტობუსში. მძღოლი საჭეს ძლივს მართავდა, სიჩქარეების გადამრთავი ბერკეტი ვიბვაჯლახით ჯადაჰყავდა ერთიდან მეორეში.

რიკოთის უღელტეხილის სოფელ შრომაში გზა მიხვეულ-მოხვეულია, უფსკრულებსა და მდინარის ნაპირს მიჰყვება. ამიტომ მძღოლებს დიდი სიფრთხილე მართებთ და საჭის მართვას არაფერი არ უნდა იქნეს ულელს. და აი ერთ-ერთ მოსახვევში ავტობუსი მდინარე ძირულაში გადავარდა. დამტვრა მანქანა, დასახიჩრდა თერმეტი ადამიანი, რომელთაგან ექვსი საავადმყოფოში მოათავსეს.

ბ. ახალაძე.

ხალხმართლოს დარბაზიდან

ღამის ხულიგანი

ამას წინათ ღამის 12 საათზე ჩელიუსკინელების ქუჩაზე ავტომანქანა „მოსკვიჩი“, რომელსაც მძღოლი ე. ხუტაშვილი მართავდა, გათავხედებულმა რობერტ ზაალიშვილმა შეაჩერა. იგი მძღოლს ხანჯლისებური დანით დაემუქრა და უმიზეზოდ ლანძღვა-გინება დაუწყო, სწორედ ამ დროს მძღოლმა შენიშნა მილიციის მუშაკები და ხაშველად მათ მიმართა. დანაშავე თბილგაზის ექსპედიციის მძღოლი რ. ე. ზაალიშვილი ადგილზევე შეიპყრეს.

თავაწყვეტილ ხულიგან რ. ზაალიშვილის საქმე გაარჩია თბილისის პირველი მაისის სახალხო სასამართლომ, რომელმაც მას სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

ო. ისაკაძე.
პირველი მაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.



რინგზე არიან გიგანტები

სპორტულმა მიმომხილველებმა, პირველ რიგში ამერიკელებმა, პროფესიული კრივის ორი წარმომადგენლის, მძიმე წონის მუხამედ ალისა და ჯო ფრეზერის შეჯიბრება მსოფლიოს პირველობაზე მონათლეს, როგორც „საუკუნის ბრძოლა“. მართლაც, რომ ეს იყო ორი გიგანტის უჩვეულო ასპარეზობა, რომელმაც თხუთმეტივე რაუნდი დიაცვა. მატჩის შედეგი ცნობილია. გაიმარჯვა ჯო ფრეზერმა.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ბრძოლის ორ მომენტს. მარცხნივ — ასპარეზობა მეთხუთმეტე რაუნდში (მარჯვნივ მუხამედ ალი), მარჯვნივ — ნოკდაუნი — მსოფლიოს არ უნახავს მუხამედ ალი რინგის კვადრატზე ასე დაცემული.

ტელეფოტო იუპი-საკდესისა და აპი-საკდესისა.

ჩემპიონი ქალებზე მხოლოდ ქალები

30 წლის წინათ, 1941 წლის მარტში, სომხეთის არაგაცის მთის მწვერვალზე (4.095 მეტრი) ავიდა ქართველ მთასვლელთა ჯგუფი ალექსანდრა ჯაფარიძის მეთაურობით. ეს იყო საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ქალთა პირველი ზამთრის ასვლა.

და აი 1971 წლის 5 მარტს ამავე მწვერვალზე კვლავ მიეტანეს იერიში მთასვლელმა ქალებმა — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერმა თანამშრომლებმა. 20 ქალისაგან შემდგარ ჯგუფს მეთაურობდა პირველი ასვლის მონაწილე დენიზა გოზალიშვილი.

ქართველმა სპორტსმენებმა ეს ასვლა მიუძღვნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავსა და ქალთა პირველი ზამთრის ასვლის 30 წლისთავს.

ჯგუფი უკვე დაბრუნდა თბილისში. დ. გოზალიშვილმა საქდესის კორესპონდენტს უთხრა, რომ სპორტსმენები ახლა მიდიოდნენ თხილამურებით, რომელსაც იყენებენ საქართველოს მთის რაიონების მცხოვრებნი (პირველი ასვლა განხორციელდა სპორტული თხილამურებით).

ქალებს ძალიან დაეხმარნენ ვაჟები — ისინი მხოლოდ ორნი იყვნენ დამხმარე ჯგუფში — სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ობოლაძე და თანრიგოსანი სპორტსმენი რ. ცაგარელი.

ეს ასვლა მოაწყეს საქართველოს ალპინიზმის ფედერაციამ და განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა.

საპატიო წოდება მიენიჭათ

კიევი, 10 მარტი. (საკდესის კორ.). გაზაფხულის პირველ დღეებში დაწესებული ტრადიციით რესპუბლიკაში ცნობილი ხდებიან უკრაინის სსრ ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები. დასახელებული არიან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, რომლებსაც ეს საპატიო წოდება მიენიჭათ.

პრემია მიენიჭა მწერალ ვ. კოზაჩენკოს მოთხრობათა ციკლისათვის პარტიზანული იატაკქვეშეთის შესახებ. ლაურეატის წოდებანი მიენიჭათ დრამატურგ ა. კორნეიჩუკს, რომლის პიესა „გულის ხსოვნა“ დაიდგა კიევის ფრანკოს სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე, დადგმის რეჟისორს დ. ალექსიძეს, მსახიობებს ი. ტკაჩენკოს, ე. პონომარენკოს, ბ. კუშანჩენკოს, მ. ზადნეპროვსკისა და ვ. დალსკის, კომპოზიტორ ბ. ლიატოშინსკის (სიკვდილის შემდეგ) ოპერისათვის „ოქროს რგოლი“ და ამ ნაწარმოების ლვოვის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დამდგმელთ, რეჟისორ დ. სმოლინს, დირიჟორ ი. ლუცივს და მხატვარ ე. ლისიკს.

ლაურეატებს შორის არიან ფილმის „კოლიუბინსკთა ოჯახის“ შემქმნელნი სცენარისტი ა. ლევადა, რეჟისორი ტ. ლუბჩუკი და მსახიობი ა. გაი, აგრეთვე კიევის კულტურის სასახლე „უკრაინის“ პროექტის ავტორები არქიტექტორები ე. მარინჩენკო და პ. ჟოლიკი (სიკვდილის შემდეგ).

შევჩენკოს პრემიის ახალი ლაურეატები

□

ბალეტი

ტელევიზია

11 მარტი

11.05 — კინონარკვევი, 11.15 — ფეხბურთი ევროპის თასის მფლობელთა თასზე. „გურნიკი“ პოლონეთი — „მანჩესტერ სიტი“ ინგლისი (მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი). 12.00 — სატელევიზიო ფილმი. 12.30 — მხატვრული ფილმი „შურისგება“ (მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.40 — განცხადებები, 18.45 — „საბჭოთა აზერბაიჯანის პოეზია“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 19.00 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 19.15 — ლიტერატურული გადაცემა, 19.40 — ციკლიდან „დიადი წლების ქრონიკა“ — 1955 წელი, 20.00 — „კონკურსი გამარჯვებულნი“ — ტრანსლაცია ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზიდან. 22.00 — „კანონი და კანონიერება“, 22.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

მეორე პროგრამით

19.30 — მხატვრული ფილმი — „უგრიუმ-მდინარე“ (1 სერია), 21.00 — დოკუმენტური ფილმი.

12 მარტი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის „მოთხრობა შენს მეგობარზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.35 — კინოპროგრამა, 12.30 — ქართული მხატვრული ფილმი — „ჰიაკოკონა“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — ბავშვებისათვის — „ჯადოსნური საღებავი“, 19.00 — „ვიხილავთ დირექტივების პროექტს“, 19.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ცეკვავს ზიზი ჟანმერი“, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 20.45 — საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების სატელევიზიო ფესტივალი (წითელწყაროს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედი კოლექტივები), 21.45 — კინოლექტორიუმი.

მეორე პროგრამა:

19.30 — მხატვრული ფილმი — „უგრიუმ-მდინარე“ (მეორე სერია), 21.10 — კინოპროგრამა.

თეატრები

11 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აბესალომ და ეთერი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფედრა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფოლა; გრიბოედოვის სახელობის — მოვალეობა (I ადრ. მე-7 წარმ.); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მარიცა (პრემიერა); მოზარდ მაყურებელთა ქართული — სკაპენის ოინები (№ 45 ადრ. 7 ს.).

კინო

11 მარტი

ოქტომბერი — „ზმინდა ლუკას“ დაბრუნება; საქართველო (მწვანე დარბაზი), ვარძია, ეკრანი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ქალაქური რომანსი; ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სპარტაკი, ოლიმპია, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — მუნჯი და სიყვარული; 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი) — ყველაფერი გასაყიდად; ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — ჩემი გულის ადამიანი; თანამგზავრი — ჩერმენი; 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი), ბათუმი — ზ